




სახელმძღვანელო

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების
სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის



სსიპ -ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და
ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
დოკუმენტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით

2016

სარჩევი

შესავალი	2
ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის ზოგადი მიმოხილვა.....	3
სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცესში ჩართული მხარეები	5
სამართლებრივი ჩარჩო	7
სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცედურა.....	7
სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტი	10
სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტის კრიტერიუმები.....	11
სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტი	22
სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტის კრიტერიუმები.....	22

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ვალიდური და სანდრო შეფასების უზრუნველყოფას. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის ამოცანაა, განსაზღვროს განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები.

დოკუმენტში გაერთიანებულია ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, სისტემაში ჩართული მხარეების, პროცესის საამართლებრივი საფუძვლების, სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცედურის, რეგისტრაციის პროცესში გამოყენებული სასწავლო პროგრამების სპეციალური სტანდარტებისა და მათი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის ზოგადი მიმოხილვა

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების გაძლიერების მიზნიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო ხარისხიანი სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფით ხელს უწყობს მოხელეთათვის სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (შემდგომში-რეფორმის ცენტრი) დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბერის №ს/23 ბრძანებით დამტკიცდა „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის წესი“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამების სპეციალური სტანდარტები“, რითაც ჩამოყალიბდა სამართლებრივი ბაზა სისტემის ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულ პროცესს წინ უძღვოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება¹, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობას დაევალა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დადგენილებით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი². იმავდროულად, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ვალდებულება, საკუთარი ბიუჯეტის არანაკლებ 1% ყოველწლიურად მიმართონ საკუთარი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სისტემა ფორმირებულია იმგვარად, რომ მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების შესყიდვისას,




¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 132¹

² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“

**სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის**

არჩევანი გააკეთონ საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებულ სასწავლო პროგრამებზე. სასწავლო პროგრამების მომზადებისას კი ათვლის წერტილად გამოიყენება ცენტრის მიერ რეკომენდებული მეთოდის გამოყენებით მოპოვებული ინფორმაცია. რეკომენდებული მეთოდიკა ითვალისწინებს სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკრეტული სამიზნე ჯგუფის სამუშაო მოვალეობების შესწავლას, კონკრეტული სამსახურებრივი ამოცანებისა და ამ ამოცანათა გადასაჭრელად აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებას. რეფორმის ცენტრში შეიქმნა სასწავლო პროგრამებისა და სწავლების საჭიროებების რეესტრი, რომელიც აერთიანებს, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების საჭიროებების შესახებ ინფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის თემატურად დაჯგუფებულ პროგრამებს, რაც მუნიციპალიტეტების მიერ სწორი არჩევანის გაკეთებას ემსახურება.

სასწავლო პროგრამების მიზნობრიობის უზრუნველსაყოფად, პროცესებს შორის ყალიბდება ერთგვარი სისტემური კავშირი, რაც მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებს:

-  მუნიციპალიტეტი შეისწავლის მოხელეთა სწავლების საჭიროებებს; შეიმუშავებს ყოველწლიურ სასწავლო გეგმას.
-  თავის მხრივ, თითოეული სასწავლო პროგრამის შემუშავების მიზნით, პროგრამის განხორციელების მსურველმა ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს წინარე სამუშაოები, კვლევები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოხელეთა საჭიროებებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, იმართება შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოხელეებსა და პროგრამების მიმწოდებლებს შორის. გამიზნულია ზუსტად განისაზღვროს და გამოიკვეთოს მოხელეთა სამუშაო ამოცანები და მოვალეობები.
-  სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით შემუშავებული პროგრამა გადის რეგისტრაციის პროცედურას, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროგრამა რეგისტრირდება რეფორმის ცენტრის ელექტრონულ რეესტრში, რომლის მეშვეობითაც, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტები მოიპოვებენ სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას.

ამრიგად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, უწყვეტი სწავლების სისტემა აერთიანებს ინსტიტუციების, პროცესების, პროცედურებისა და სასწავლო-მეთოდური საშუალებების ერთობლიობას.

სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცესში ჩართული მხარეები

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცესში ჩართულ მხარეებს წარმოადგენენ:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- სასწავლო პროგრამების მიმწოდებლები
- რეფორმის ცენტრი, რომელიც აღნიშნული პროცესის მაკოორდინირებელი ორგანოა და შეფასების პროცესში რთავს გარე შემფასებლებს - სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასების ექსპერტებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დგანან სისტემის ცენტრში. როგორც აღნიშნა, ერთ-ერთი მთავარი ეტაპი უწყვეტი სწავლების სისტემაში არის მოხელეთა სწავლების საჭიროებების სწორად ინდენტიფიცირება, რასაც ახორციელებს მუნიციპალიტეტი. აღნიშნული პროცესი მოიცავს საჭიროებათა კვლევის ეტაპებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელსაც იყენებენ მუნიციპალიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ემსახურება მოხელეთა სწავლების სფეროების იდენტიფიცირებასა და სწავლების რაციონალურ დაგეგმვას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებით განისაზღვრა, რომ ყოველი წლის პირველ აგვისტომდე მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის/საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის მქონე სტრუქტურულმა ერთეულმა/უფლებამოსილმა მოსამსახურემ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების საჭიროებათა განსაზღვრა. იმავდროულად, იმავე დოკუმენტით დადგინდა საჭიროებათა კვლევის ეტაპები და განისაზღვრა საჭიროებათა კვლევის მეთოდები. შესწავლას ექვემდებარება მოხელის პირად საქმეში არსებული ინფორმაცია; დგება მოხელეთა ატესტაციის შედეგების ანალიზის საჭიროება; გაანალიზებას ექვემდებარება მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და სამუშაო გეგმები; ეწყობა ფოკუსჯგუფები; გროვდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია და სხვა.

სისტემის მამოძრავებელი მომდევნო ეტაპი არის მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმის შემუშავება. იგი წარმოადგენს მოხელეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და სწავლების ორგანიზების სხვა ძირითად საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი სათანადო წესით მომზადების შემდეგ იგზავნება რეფორმის ცენტრსა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში, მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისათვის.

სწავლების სისტემის კოორდინაციასა და პროცესის სასწავლო-მეთოდურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს რეფორმის ცენტრი. მის ვალდებულებებში შედის: მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტებისათვის სწავლების საჭიროებების დადგენაში; მოხელეთა

**სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის**

სწავლების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოძიება და სისტემატიზაცია; პროგრამის რეგისტრაციისათვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება; სასწავლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა სასწავლო პროგრამების სპეციალურ სტანდარტებთან; სასწავლო პროგრამების რეესტრის წარმოება; სასწავლო პროგრამების მიწოდების ხარისხის შეფასება-მონიტორინგი და პროგრამების მიმწოდებელთათვის სათანადო რეკომენდაციების მიცემა; დონორი ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების ურთიერთობის კოორდინაცია და თანამშრომლობა და ა.შ.

პროცესში აქტიური როლი აქვს სასწავლო პროგრამების მიმწოდებელს, რომელიც შეიძლება იყოს იურიდიული ან/და ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომლის სასწავლო პროგრამა/პროგრამები ელექტრონულად რეგისტრირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სასწავლო პროგრამების რეესტრში.

სამართლებრივი ჩარჩო

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის საკანონმდებლო ბაზას ქმნის შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“
- რეფორმის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის №ს/23 ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“
- რეფორმის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის №ს/24 ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასების ექსპერტთა შერჩევისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“
- რეფორმის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის №ს/25 ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების რეესტრის ადმინისტრირებისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“

პროცესს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს აგრეთვე რეფორმის ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო პროგრამის შემუშავების სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტები³, რომლებიც პერიოდულად თავსდება ცენტრის სპეციალურ პორტალზე (edu.lasg.gov.ge). აღნიშნულ ეტაპზე უკვე მომზადებულია ორი სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტი ადამიანური რესურსების მართვისა და პროექტების შემუშავების, მართვისა და მონიტორინგის სწავლების სფეროებში.

სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის პროცედურა

სასწავლო პროგრამების რეგისტრაცია მიზნად ისახავს სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის გზით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფას.

პროგრამის რეგისტრაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. სარეგისტრაციო განაცხადის შედგენა, რომელიც მოიცავს განცხადებას სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის შესახებ; იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ ამონაწერს; სასწავლო პროგრამასა და შესაბამის დანართებს; სასწავლო

**სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის**

პროგრამის სერტიფიკატის აღრიცხვის წესსა და სერტიფიკატის ფორმას; აგრეთვე - სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას.

სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის ორგანიზებულობისა და გამარტივების მიზნით, ფუნქციონირებს ცენტრის ელექტრონული პორტალი (edu.lsg.gov.ge), უზრუნველყოფილია განაცხადის ელექტრონულად წარდგენა.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი შემოწმება ცენტრის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, ხარვეზის დადგენა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგისტრაციის მსურველისათვის ვადის განსაზღვრა, რომლის განმავლობაშიც უნდა აღმოიფხვრას ხარვეზი და წარმოდგენილ იქნეს სათანადო ინფორმაცია.

3. სასწავლო პროგრამის შეფასების პროცესში, ობიექტურობის უზრუნველყოფისა და პროცესის გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი სარეგისტრაციო განაცხადით წარმოდგენილ სასწავლო პროგრამას შესაბამისი დანართებით შესაფასებლად გადასცემს ორ გარე ექსპერტს. ამასთან, უზრუნველყოფილია კონფიდენციალობის დაცვა-ექსპერტი არ იღებს ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, არ ფლობს ორგანიზაციის რესურსების იმ ნაწილის შესახებ ინფორმაციას, რომელიც იძლევა ორგანიზაციის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ასეთი შეიძლება იყოს სასწავლო პროგრამის ადამიანური რესურსი და სხვა.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში გამოიყენება სპეციალური სტანდარტები, რომლებითაც ხორციელდება სასწავლო პროგრამების შინაარსის, მისი ორგანიზებისა და, ასევე, განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების შეფასება. ექსპერტები აფასებენ სასწავლო პროგრამის ხარისხს. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შუალედური დასკვნის ფორმა, რომელსაც ავსებენ ექსპერტები. ფორმაში წარმოდგენილია ექსპერტთა შეფასებები, გამოხატული ქულებში, ასევე შეფასების დასაბუთება, თუ ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევენ შესაბამისი კომენტარის გაკეთებას.

4. ცენტრის თანამშრომელი აფასებს სასწავლო პროგრამის რესურსების ნაწილს, ასევე ანალიზებს შუალედურ დასკვნებს და ავსებს საბოლოო დასკვნის ფორმას, რომელიც ითვალისწინებს რეფორმის ცენტრის დირექტორისათვის რეკომენდაციას სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის/რეგისტრაციაზე უარის შესახებ, ასევე რეკომენდაციების მიცემას სასწავლო პროგრამის მიმწოდებლისთვის.

5. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის შესახებ. ხოლო უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას სასწავლო პროგრამის რეგისტრაციაზე უარის შესახებ. რეგისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროგრამების რეესტრში სასწავლო პროგრამის განთავსების საფუძველს.

სასწავლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აისახება
სასწავლო პროგრამების რეესტრში:

- სასწავლო პროგრამის დასახელება
- სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის კოდი
- სასწავლო პროგრამის მიზნები
- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები
- სასწავლო პროგრამის მოცულობა - გამოხატული კრედიტებში
- სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი ძირითადი თემები
- მწვრთნელი/მწვრთნელები
- სასწავლო პროგრამების მიმწოდებელი და მისი საკონტაქტო მონაცემები

სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტი

სასწავლო პროგრამის შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას

სასწავლო პროგრამა უნდა შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებისათვის საჭირო კომპეტენციების გათვალისწინებით. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში სამიზნე ჯგუფის ზუსტად იდენტიფიცირება, მისი ყოველდღიური სტანდარტული სამუშაოს შესწავლა, სამსახურებრივი მოვალეობებისა და ამოცანების, ასევე საჭირო ცოდნისა და უნარების ზუსტად იდენტიფიცირება.

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია სტანდარტის თითოეული კრიტერიუმი განიმარტოს მისი მიზნიდან გამომდინარე - რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტის კრიტერიუმები

ა) სასწავლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროს

პროცესის ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, შემქნილია რეფორმის ცენტრის სპეციალური პორტალი (www.edu.lsg.gov.ge), რომელზეც განთავსებულია სასწავლო პროგრამებისა და სწავლების საჭიროებების რეესტრი. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების საჭიროებათა რეესტრი აერთიანებს თემატურად დაჯგუფებულ, სფეროების შესაბამისად იდენტიფიცირებულ საჭიროებებს. თავის მხრივ, სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ, სასწავლო პროგრამა თავსდება ადგილობრივი თვითმმართველობის უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების რეესტრში, იმავე სწავლების სფეროსათვის მიკუთვნებით. ამდენად, ერთ-ერთი კრიტერიუმი სასწავლო პროგრამის რეგისტრაციისათვის არის მასში სწავლების სფეროს სწორად იდენტიფიცირება, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო პროგრამის სახელწოდებასთან.

სახელმძღვანელო პრინციპები

- ✓ სასწავლო პროგრამის სახელწოდება კონკრეტულია, ზუსტად გამოხატავს სასწავლო პროგრამის შინაარსს და არ არის გაუგებარი
- ✓ სასწავლო პროგრამის სახელწოდება მიესადაგება სასწავლო პროგრამაში აღნიშნულ სწავლების სფეროს

კრიტერიუმით მოწმდება სასწავლო პროგრამის სახელწოდების შესაბამისობა სწავლების სფეროსთან, თუმცა, აღნიშნული არ ზღუდავს ექსპერტს, სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს მისცეს შესაბამისი რეკომენდაცია, თუ მიიჩნევს, რომ სასურველია, სასწავლო პროგრამის სახელწოდება მეტად დაკონკრეტდეს.

ბ) სასწავლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების სფეროს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია

სასწავლო პროგრამას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი. სწორედ მიზნიდან გამომდინარე, იგეგმება სასწავლო პროგრამა. მიზანი

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და გასაგებად, ამასთან, მნიშვნელოვანია, ის იყოს კონკრეტული, რეალისტური და მიღწევადი.

თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სასწავლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან რეფორმის ცენტრის სასწავლო პროგრამების რეესტრში.

მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ზუსტად გამოხატავს სასწავლო პროგრამის მიზანი მის შინაარსს, რამდენად წარმოდგენილია მის ფარგლებში განსავითარებელი კომპეტენციები, კონკრეტული სახის ცოდნა და უნარები.

მაგალითად, თუ სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს, აამაღლოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კომპეტენცია, თუმცა, არ აკონკრეტებს აღნიშნულ კომპეტენციას - მიზანი ერთი შეხედვით ნათელია, მართლაც, ყველა სასწავლო პროგრამის მიზანი სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მოხელეთა კომპეტენციის ამაღლება უნდა იყოს, თუმცა, ის არ გამოხატავს კონკრეტულ ჩანაფიქრს. მნიშვნელოვანია, მიზანში გამოიკვეთოს, კონკრეტულად რა სახის ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული იგი.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ პროგრამის მიზანი სწავლების სფეროს შესაბამისია
- ✓ პროგრამის მიზანი ნათლად, გასაგებად არის ფორმულირებული
- ✓ პროგრამის მიზანი ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს ჩანაფიქრს
- ✓ პროგრამის მიზანი კონკრეტულია, განსაზღვრული სახის სწავლის შედეგების მიღწევას - ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება
- ✓ პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ შესაძლებელია გაზომვა, რამდენად მიღწევადია იგი
- ✓ პროგრამით წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემურად გააზრების შედეგად ყალიბდება რწმენა, რომ სასწავლო პროგრამის მიზანი მიღწევადია

გ) სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები
შეესაბამება სასწავლო პროგრამის
მიზანს/მიზნებს

სასწავლო პროგრამის მიზნები მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო პროგრამაზე მუშაობა იწყება მიზნის განსაზღვრით, შემდეგ კი მთელი პროგრამა იგეგმება აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე. ერთი მხრივ, სასწავლო პროგრამის მიზანი აქცენტს აკეთებს სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისაღწევ შედეგებზე და, მეორე მხრივ, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს გაზომვა, რამდენად არის მიღწეული დასახული მიზანი.

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად სწორად არის ფორმულირებული სწავლის შედეგები; რამდენად გამოხატავს იგი დასრულებულ შედეგს, რამდენად ზუსტად არის აღწერილი, რა სახის ცოდნისა და უნარების დემონსტრირება შეუძლია სასწავლო პროგრამის მონაწილეს პროგრამის დასრულების შემდეგ.

სახელმძღვანელო პრინციპები:

✓ სასწავლო პროგრამის მიზნები სწორად არის ჩამოყალიბებული, მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკრეტული კომპეტენციების განვითარება

✓ სწავლის შედეგები სწორად არის ჩამოყალიბებული. იგი აღწერს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც უნდა განუვითარდეთ სასწავლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის დასრულების შემდეგ

✓ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამის მიზანი მიღწეულია.

დ) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფი და სასწავლო პროგრამაში დაშვების წინაპირობა

სასწავლო პროგრამა ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე, რომლისთვისაც უნდა დაადგინოს შესაბამისი დაშვების წინაპირობა.

სასწავლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია მუნიციპალიტეტების თანამშრომლებთან ვიზიტი და იმის დადგენა, კონკრეტულად რა ცოდნა და უნარ-ჩვევები ესაჭიროება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეს, რა სახის უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისათვის საჭიროებს იგი დამატებით კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნულ ეტაპზე დგინდება კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, სამსახურებრივი ამოცანების ჩამონათვალი, რა მიმართულებითაც საჭიროებს სამიზნე ჯგუფი კვალიფიკაციის ამაღლებას.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს, რომლებსაც კონკრეტული თანამდებობები უჭირავთ, უკვე აქვთ განსაზღვრული ცოდნა და განვითარებული უნარები, თუმცა, სავარაუდოა, რომ მოხელეთა კომპეტენციები განსხვავებულია. ამდენად, ყოველი პროგრამისთვის ზუსტად უნდა იყოს იდენტიფიცირებული სამიზნე ჯგუფი და მკაფიოდ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა.

სასურველი არ არის, სამიზნე ჯგუფად განსაზღვრული იყოს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას“

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

- ფორმულირება ძალზედ ზოგადია. თუ სასწავლო პროგრამა კონკრეტული სახის ცოდნის მიცემასა და კონკრეტული სახის უნარ-ჩვევების ამაღლებას ემსახურება, შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა იყოს იდენტიფიცირებული, კონკრეტულად ვინ საჭიროებს აღნიშნული ცოდნის მიღებას და აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელი მოხელეები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი სამსახურებრივი ამოცანებიდან გამომდინარე.

თავის მხრივ, დაშვების წინაპირობა მიზნად ისახავს იმ მინიმალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებას, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროგრამის დასაძლევად და სასწავლო პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად. სასწავლო პროგრამაში ნათლად, მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ სასწავლო პროგრამაში სამიზნე ჯგუფი ნათლად არის იდენტიფიცირებული
- ✓ სასწავლო პროგრამის მიზნები ლოგიკურად უკავშირდება სამიზნე ჯგუფს
- ✓ სწავლის შედეგები კონკრეტული სახის ცოდნისა და უნარების სახით არის ჩამოყალიბებული და, ამასთან, აღნიშნულია რა ცოდნა და უნარები ესაჭიროება კონკრეტულად იმ სამიზნე ჯგუფს, რომელიც მითითებულია სასწავლო პროგრამაში
- ✓ სამიზნე ჯგუფი კონკრეტულად არის განსაზღვრული
- ✓ სასწავლო პროგრამაში, საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- ✓ სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გასაგებად არის ჩამოყალიბებული
- ✓ სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს აუცილებელი, მინიმალური კომპეტენციის შემოწმებას, რომელიც ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მონაწილეს სასწავლო პროგრამის დასაძლევად

ე) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა

სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული უნდა იყოს სასწავლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

მისი მიღწევისათვის გამოსაყენებელი სწავლებისა და შეფასების ადეკვატურად. სასწავლო პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა უნდა იყოს გონივრული და უნდა იძლეოდეს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას, პროცესში ყველა მონაწილის თანაბარი ჩართვის გათვალისწინებით. მაგალითად, ჯგუფური მუშაობის მეთოდი ვერ იქნება გამოყენებული, თუ სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა ვერ იძლევა ჯგუფში მუშაობის შესაძლებლობას, ასევე, რიგი აქტივობების დაგეგმვისას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პრაქტიკული შინაარსის აქტივობებს, შესაძლოა საფრთხე შეექმნას მრავალრიცხოვანი შემადგენლობით.

აღნიშნული, ასევე, კავშირშია მეთოდებთან და აქტივობებთან, რომლებსაც იყენებს სასწავლო პროგრამის მწვრთნელი სწავლების მიზნით.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების გამოყენება შესაძლებელია ჯგუფის ზომის გათვალისწინებით
- ✓ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების გამოყენება შესაძლებელია ჯგუფის ზომის გათვალისწინებით
- ✓ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო პროგრამაში მითითებული სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის პირობებში

ვ) სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები შერჩეულია სწავლების ფორმის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ფორმის შესაბამისად, სარეგისტრაციო განაცხადის შედგენისას სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი არჩევანს აკეთებს სწავლების ფორმებს შორის. გათვალისწინებული სწავლების ფორმები:

- ტრენინგი (მოკლევადიანი - არაუმეტეს 30 საკონტაქტო საათისა);
- გრძელვადიანი ტრენინგი (30 საკონტაქტო საათზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 საკონტაქტო საათისა);
- სემინარი (არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათისა);
- სამუშაოსგან მოუწყვეტლად სწავლება;
- დისტანციური სწავლება.

სემინარი, ტრენინგი და სხვა სახის ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს განსხვავებული ჯგუფის ზომის პირობებში, ითვალისწინებდეს მწვრთნელის მხრიდან განსხვავებულ მიდგომებსა და მონაწილეთა ჩართულობის განსხვავებულ ხარისხს,

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

აღნიშნული დამოკიდებულია სასწავლო პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე, თუ სასწავლო პროგრამა მეტწილად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული, საქმიანობას გეგმავს ტრენინგის სახით. ხოლო თუ სასწავლო პროგრამის მიზნები უფრო მეტად თეორიული საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად, რისთვისაც ძირითადად, მწვრთნელის მიერ საკითხის სიღრმისეული ახსნა განსაზღვრული ან გამიზნულია, რომ პროცესი წარიმართოს დისკუსიის რეჟიმში, გამოიყენება სემინარის ფორმა და ა.შ.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ სწავლების ფორმა სწორად არის განსაზღვრული
- ✓ სწავლების ფორმა უზრუნველყოფს მითითებული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას
- ✓ სწავლების ფორმა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული შეფასების მეთოდების გამოყენების საშუალებას

ზ) სასწავლო პროგრამის მოცულობა ემყარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). კრედიტები განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად.

სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამის მონაწილის დატვირთვა გაანგარიშებული უნდა იქნეს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. კრედიტები განაწილებული უნდა იქნეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად. თუმცა, შესაძლოა პროგრამით გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ საკონტაქტო საათები.

ერთი კრედიტი გამოხატავს სასწავლო პროგრამის მონაწილის დატვირთვას 25-30 საათის განმავლობაში.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ პროგრამის მონაწილის დატვირთვა გაანგარიშებულია კრედიტებში

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

✓ მონაწილის დატვირთვა განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად

თ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები განსაზღვრულია ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის თემების დადგენის ანგარიშით ან შეესაბამება ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტის აღნიშნული კრიტერიუმი მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე მისი შინაარსის სწორად, მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად ჩამოყალიბებას.

რეფორმის ცენტრის ელექტრონულ პორტალზე edu.lsg.gov.ge განთავსებულია ორი სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტი: ადამიანური რესურსების მართვისა და პროექტების შემუშავების, მართვის და მონიტორინგის სწავლების სფეროებში. შესაძლოა, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებული იყოს სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და პროგრამის მიმწოდებელი სრულად ან ნაწილობრივ იყენებდეს მის თემატიკას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

✓ სასწავლო პროგრამა შემუშავებულია რეფორმის ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტზე დაყრდნობით/ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით

✓ წარმოდგენილი ანგარიში ზუსტად შეესაბამება რეფორმის ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ფორმას, სათანადოდ არის შევსებული მისი ყველა ველი

✓ რეფორმის ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტი/ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი, სათანადო წესით შევსებული ანგარიში სასწავლო პროგრამის შინაარსის შესაბამისია

ი) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები შეესაბამება სწავლის შედეგებს

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი მიიღწევა მხოლოდ შესასწავლი თემების სწორად განსაზღვრის პირობებში. ამ მიზნით, უნდა შეფასდეს, სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი თემების ერთობლიობა, რამდენად უზრუნველყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას. ამასთან, შესაძლებელია, რამდენიმე თემის შესწავლა ემსახურებოდეს ერთი სწავლის შედეგის მიღწევას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ თემების თანმიდევრობა და მათი ერთობლიობა ლოგიკურია
- ✓ თითოეული თემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას

კ) სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე ორგანიზების ფორმა შეესაბამება სწავლის შედეგებს

სასწავლო პროგრამის სწავლების მეთოდები უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ იძლეოდეს სწავლის შედეგებზე გასვლის საშუალებას, თავის მხრივ, შეფასების მეთოდები უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის საშუალებას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები სწავლის შედეგების შესატყვისია
- ✓ შეფასების მეთოდი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებას
- ✓ თითოეული აქტივობისათვის დათმობილი დრო ადეკვატურია
- ✓ შეფასებისთვის დათმობილი დრო უზრუნველყოფს შეფასების განხორციელებას

ლ) სასწავლო პროგრამაში აღწერილი სასწავლო მასალა შერჩეულია პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

სწავლის შედეგებზე გასვლის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სასწავლო პროგრამის მონაწილეთა სასწავლო მასალის სწორად შერჩევა. სასწავლო პროგრამაში აღწერილი სასწავლო მასალა უნდა იყოს თემატიკის ადეკვატური, ამასთან, სრულად უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგებზე გასვლას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

✓ სასწავლო მასალა პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების ადეკვატურია; საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულია სპეციალურად სასწავლო პროგრამისთვის მომზადებული სასწავლო რესურსი

✓ სასწავლო მასალის მოცულობა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საათების ადეკვატურია

მ) სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სასწავლო პროგრამის კრედიტების რაოდენობას

სასწავლო გეგმაში საათების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამაში მითითებული კრედიტების რაოდენობას.

სახელმძღვანელო პრინციპი:

✓ თუ სასწავლო პროგრამაში მითითებული კრედიტი გამოხატულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად, შესაბამისად, პროგრამის სასწავლო გეგმაშიც მოცემულია აღნიშნული განაწილება.

მ) სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განაწილება და მათ შორის ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კრიტერიუმის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტების ერთობლიობით.

სახელმძღვანელო პრინციპები:

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

- ✓ პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა სრულად არის შევსებული
- ✓ წარმოდგენილია ინფორმაცია სესიების შესახებ, ამასთან, თითოეული სესიისთვის მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში.
- ✓ სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტები ლოგიკურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან
- ✓ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მონაწილის დატვირთვა ადეკვატურია
- ✓ შესასწავლი თემებისათვის განსაზღვრული მასალები - აგებულია იმგვარად, რომ დატოვებულია სესიებს შორის პერიოდი, რომლის შესაბამისადაც, შესაძლებელი იქნება სასწავლო მასალის ათვისება, სწავლის შედეგებზე გასვლა. მნიშვნელოვანია, თითოეული თემისათვის დათმობილი დრო იყოს ადეკვატური
- ✓ თითოეული სესიისთვის გათვალისწინებული თემა, სწავლების მეთოდი, სასწავლო რესურსი და შეფასების მეთოდი ლოგიკურად შეესაბამება ერთმანეთს. აღნიშნული საკითხების ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს თითოეული თემისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას.

ნ) სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები, რომლებითაც გათვალისწინებულია სულ მცირე, სერტიფიკატის გაცემის შემდეგი საფუძვლები: სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების არანაკლებ 80%-ზე დასწრება და საბოლოო დადებითი შეფასება, რომლის მისაღებად სასწავლო პროგრამის მონაწილემ უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 75%

კრიტერიუმის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის აუცილებელი პირობაა პროგრამაში სერტიფიკატის გაცემის წესისა და პირობების ზუსტად განსაზღვრა. ამასთან, დაწესებულია კონკრეტული მოთხოვნები სასწავლო პროგრამის მონაწილის პროგრამით გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და დადებითი შეფასების მიღების სახით, თითოეულისთვის დადგენილია მინიმალური დათქმა. კრიტერიუმით განსაზღვრული პროცენტული ზღვარი, შესაძლოა, განსხვავებულად იქნეს წარმოდგენილი და აღემატებოდეს მითითებულ მაჩვენებელს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ ინფორმაცია სერტიფიკატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ ნათლად არის მოცემული
- ✓ სერტიფიკატის გაცემისათვის გაცემისათვის აუცილებელი საკონტაქტო საათებზე დასწრების პროცენტული მაჩვენებელი და დადებითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კრიტერიუმის მოთხოვნის ადეკვატურია.

ო) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი

კრიტერიუმის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს სასწავლო პროგრამის ფარგლებში გაცემული სერტიფიკატის აღრიცხვის საკუთარი წესი, უნდა ხორციელდებოდეს სასწავლო პროგრამის ფარგლებში გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს შემუშავებული აქვს გაცემული სერტიფიკატის აღრიცხვის წესი
- ✓ წარმოდგენილი დოკუმენტიდან დგინდება, რომ იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ სათანადო წესით.

პ) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული პროგრამის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტებს: სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის შინაარსის, მისი რესურსებისა და მიწოდების შეფასების საშუალებებს, მეთოდებსა და სიხშირეს, ხოლო განმახორციელებლის მხრიდან - მისი შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმს.

სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განმსაზღვრელი დატვირთვა აქვს სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემას, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამის შეფასება, ნაკლოვანებების წარმოჩენა და სასწავლო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება.

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

კრიტერიუმის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ფორმის მეშვეობით აღწერილი უნდა იყოს სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მხრიდან სასწავლო პროგრამის შინაარსის, მისი რესურსებისა და მიწოდების შეფასებას, საშუალებების, მეთოდებს და სიხშირეს. თავის მხრივ, პროგრამის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზება და სასწავლო პროგრამის შემდგომი გამჯობების გზების დასახვა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ პროგრამის წარმოდგენის ფორმაში აღწერილია პროგრამის შეფასების სისტემა აღწერილია
- ✓ შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის მონაწილეთა გამოკითხვას სხვადასხვა მაჩვენებლის შესაბამისად. ფასდება სასწავლო პროგრამის შინაარსი, მისი რესურსები და მიწოდების საშუალებები
- ✓ აღწერილია, როგორ ახორციელებს სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს
- ✓ განსაზღვრულია სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდულობა.

სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტი

სასწავლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევასათვის აუცილებელ სასწავლო გარემოს, სასწავლო და ადამიანურ რესურსებს

სასწავლო პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსების და ადამიანური რესურსების პირობებში. სტანდარტით გათვალისწინებული კრიტერიუმები აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს თითოეული მათგანისთვის.

სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტის კრიტერიუმები

ა)	სასწავლო	პროგრამის
განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი		
სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსი,		
რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და		
სწავლის შედეგებს.		

სახელმძღვანელო პრინციპები:

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო
პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

- ✓ სასწავლო გარემო ორგანიზებულია სასწავლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად
- ✓ სასწავლო გარემოს ორგანიზება უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებზე გასვლასა და ამ გზით - დასახულის მიზნების მიღწევას
- ✓ სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს სასწავლო გარემოთი უზრუნველსაყოფად აქვს შესაბამისი სივრცე, საკუთარი ან საჭიროების შემთხვევაში, დროებით ფლობის უფლებით
- ✓ სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო რესურსი
- ✓ სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლასა და ამ გზით - სასწავლო პროგრამის მიზნების მიღწევას

ბ) სასწავლო პროგრამას ახორციელებს მწვრთნელი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება

სახელმძღვანელო პრინციპი:

- ✓ სასწავლო პროგრამის მწვრთნელის კვალიფიკაცია-განათლება და სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება, უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას
- ✓ სასწავლო პროგრამის მწვრთნელის კვალიფიკაცია სასწავლო პროგრამის შესაბამისია

გ) მწვრთნელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების გაფორმების წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ხელშეკრულება სასწავლო პროგრამის მიმწოდებელსა და მწვრთნელს შორის შესაძლოა დადებული იყოს შრომითი შინაარსით ან სხვა სახით. ამასთან, შრომითი ხელშეკრულების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, ხოლო თუ ხელშეკრულება სხვა სახით არის დადებული - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნებს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი წესით.

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

შრომითი ხელშეკრულების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად არის მასში გათვალისწინებული შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა არსებითი პირობა.

მწვრთნელთან ხელშეკრულება შეიძლება გაფორმებული იყოს მომავალში, კონკრეტულ პირობაზე მითითებით, ძალაში შესვლის პირობით

სახელმძღვანელო პრინციპი:

- ✓ სასწავლო პროგრამის მწვრთნელთან/მწვრთნელებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები
- ✓ გაფორმებული ხელშეკრულებები მოქმედი/გათვალისწინებულია მისი ძალაში შესვლა სამომავლოდ, კონკრეტულ პირობაზე მითითებით
- ✓ გაფორმებული ხელშეკრულებები პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს

დ) სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო მასალა

სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა. ამასთან, სტანდარტის აღნიშნული კრიტერიუმი ყურადღებას ამახვილებს სასწავლო მასალის ფლობის ფაქტზე და არა მის შინაარსზე.

სახელმძღვანელო პრინციპი:

- ✓ სასწავლო პროგრამაში მითითებული სასწავლო მასალა სრულად არის წარმოდგენილი

ე) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ შემუშავებული სერტიფიკატის ფორმა შეესაბამება „სპეციალური სტანდარტების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული „სპეციალური სტანდარტები“ ითვალისწინებს სპეციალურ მოთხოვნებს სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის მონაწილისათვის გადასაცემი დოკუმენტის - სერტიფიკატისათვის.

სასწავლო პროგრამის მონაწილე უფლებამოსილია, გარდა სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნისა, დამატებით გაითვალისწინოს სხვა მონაცემებიც, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან.

სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შემფასებელთათვის

მოთხოვნის თანახმად, სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის სურვილის შემთხვევაში, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ სერტიფიკატზე მითითებულია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის სრული დასახელება და ასევე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა
- ✓ სერტიფიკატზე დატანილია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რეფორმის ცენტრის ლოგო
- ✓ სერტიფიკატში მითითებულია სასწავლო პროგრამის დასახელება და ცენტრის სასწავლო პროგრამების რეესტრში მისი რეგისტრაციის კოდის ადგილი
- ✓ სერტიფიკატში მითითებულია სასწავლო პროგრამის კრედიტების რაოდენობის ველი
- ✓ სერტიფიკატში გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამის მონაწილის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის ადგილი
- ✓ სერტიფიკატში მოცემულია ველი სასწავლო პროგრამის გავლის პერიოდის (რიცხვი, თვე, წელი) მისათითებლად
- ✓ სერტიფიკატზე მითითებულია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელის და გვარის (სრულად), ხელმოწერის ადგილი
- ✓ მოცემულია სერტიფიკატის გაცემის თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) ველი
- ✓ გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ბეჭდის ადგილი
- ✓ გათვალისწინებულია სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი სერტიფიკატების სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით
- ✓ უცხოურ ენაზე/ენებზე მოცემული ინფორმაცია ქართულის შესატყვისია